

ზოზიანიძის



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09/14/1687

ქ. თბილისი

13 07 2018 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის (ოქმი №13) გადაწყვეტილების საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ თემურ ზოიძის (პირადი №61001012794), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „ბიზნესის ადმინისტრირება“, სადისერტაციო თემა – „აჭარის ტურიზმის მომსახურების სფეროს არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი ანზორ აბრალავა (სტუ, თავმჯდომარე);
- ასოცირებული პროფესორი რუსუდან ქინქლაძე (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი ბესიკ ბარკალაია (სტუ, რეცენზენტი);
- ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე (თსუ, რეცენზენტი);
- პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი მანანა ვასაძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი მაკა ფირანიშვილი (სტუ);
- პროფესორი ნანა ახალაია (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი);
- ასოცირებული პროფესორი ლარისა დოლიკაშვილი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 20 ივლისი, 15⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 107^ა აუდიტორიაში.

რექტორი

Handwritten signature

არჩილ ფრანგიშვილი